ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7724241

ნომერი: AR11118758

თარიღი : 24.11.2025

გაცემის თარიღი : 01.12.2025

გაცნობის თარიღი : 01.12.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაკის რაიონი ; ქალაქი თბილისი , ნაფეტვრებისაკენ მიმავალ გზაზე, (ნაკვეთი 03/003) ; ქალაქი თბილისი , ნაფეტვრებისაკენ მიმავალ გზაზე, (ნაკვეთი 03/004);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა ჩაგანავა პ/ნ 01017043074
- სავანელის #18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 24 ნოემბრის №AR11118758 განცხადებით მომართა ლუკა ჩაგანავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 21 ნოემბრის №7713230 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 21 ნოემბრის №7713230 ბრძანებით N01.14.06.004.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (D ბლოკი) არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 21 ნოემბრიდან 2028 წლის 21 ნოემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2025 წლის 21 ნოემბრის №7713230 ბრძანებით შეთანხმებულ მშენებლობის ორგანიზების პროექტის განმარტებით ბარათთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

სამსახურმა, დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნა არ წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.